იური კაზაკოვი

პირველი პაემანი

ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირნი:

ნადია
ვერა
კუზმა
ვიქტორი } სტუდენტები:

საერთო საცხოვრებლის კომენდანტი.

Scanned with CamScanner

სტუდენტია საერთო საცხოვრებლის ოთახი. ოთხი საწოლი, მაგიდა, სკამები ტანსაცმელის კარადა. კედლებზე—უზარმაზარ ფოტოსურათები, რეპროდუქციები. ფანჯრის ზეპირი—პლაკატები: „ბანკამტიცოთ სიყვარული მეცნიერებისადმი!“ მაგიდაზე. სკამებზე და ფანჯარაზე წიგნებია დაყრილი. საერთოდ ოთახში უწესრიგობაა.

ფანჯარასთან საწოლზე ზის ვიქტორი, მელანქოლიურად აკვლევს გიტარის სიმებს. სარკესთან კუზმა პირს იპარსავს.

გაზ ფუულის დღე იწყება. ბინდდება.

კ უ ზ მ ა. ერთი კვირის შემდეგ ჩვენთან საგაზაფხულო საღამოა, მეჯლისია!

ვ ი ქ ტ ო რ ი (მღერის).

გულის სატრფოს ბეჭედი
ჩამივარდა ზღვაში,
ჩემი ბედნიერებაც
დამეკარგა მაშინ!

კ უ ზ მ ა (სარკეში იხედება). როგორ გგონია, შეიძლება ქალიშვილს მოეწონო?

ვ ი ქ ტ ო რ ი. როგორ გითხრა... თუ ადამიანური აბსტრაქციის თვალსაზრისით მივუდგებით...

კ უ ზ მ ა. ესე იგი, არა?..

ვ ი ქ ტ ო რ ი. ნუ მათქმევინებ სიმართლეს, რადგან იგი სამწუხაროა! (გიტარას უკრავს და მღერის).

მე უბედურს ნალველი
მომაშორე მწარე,
ამომიღე ბეჭედი,
მინეგობრე, მთვარევ!

კ უ ზ მ ა. დღეს პარკთან ჩამოვიარე... კვირტები დამსკდარა, ხეები შეფოთლილა. ახლა ჩვენში ხოჭოები ტიხტიხებენ, დილაობით ჭაობში წეროები ყივიან, არ გავიგონო წეროების ხმა? შორიდან მაჩიტელას ხმას ჰგავს. შტო მოვტეხე, სურნელებამ დამათრო...

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე კი გაზაფხულზე, რატომღაც სულ მეძინება.

კ უ ზ მ ა (ეპოპნარებს). მიჭკარავ რაღაცას! (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ბალახმაც მიწა ამოხეთქა, ხასხასა ბალახმა... ასეთი ფერი მას მხოლოდ გაზაფხულზე აქვს.

ვ ი ქ ტ ო რ ი. ბალახი ძროხებისთვის არისშეგაჩენილი და საერთოდ პოეზია—ბუნდოვანი რაშეა.

კ უ ზ მ ა. აი, მე სტენდალი წავიკითხე.

ვ ი ქ ტ ო რ ი. ძალიან ცუდი გიქნია. მორჩი პირის გაპარსვას?

კ უ ზ მ ა. ჰო, ოღონდ აოსად არ წამოვალ.

ვ ი ქ ტ ო რ ი. რა თქმა უნდა, შენ ჩემთან არ წამოხვალ, წახვალ პარკში და დაუწყებ ფოთლებს ყნოსვას.

კ უ ზ მ ა. არა, არც პარკში წავალ, მე ერთ ადამიანს უნდა დაველოდო...

ვ ი ქ ტ ო რ ი. მოიცა, მოიცა! შენი ბედნიერი გამომეტყველებით ყველა ფერს ვხვდები. (კუზმა იღიმება) შენ პაემანი გაქვს!

კ უ ზ მ ა. რა პაემანი! მე მხოლოდ ის გოგო... (ყურადღებით შეათვალიერებს ოთახს.) სტენდალი არ გინახავს?

ვ ი ქ ტ ო რ ი. შენს სტენდალს მასლოვი კითხულობს. ზის სანაპიროზე და კითხულობს. (ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ) და სიო ნაზად არხევს მის ფურცლებს...

კ უ ზ მ ა. რა ხალხია! რა თავხედობაა სხვისი ნივთების წაღება! რა უთხრა ეხლა იმ გოგოს?

ვ ი ქ ტ ო რ ი. შე სულელო! შენ მას უფრო მეტად სჭირდები, ვიდრე სტენდალი. მოიცა, ვინ არის ის გოგონა... ის რა, ლამაზია?

კ უ ზ მ ა. ის... იცი, ის ძალიან სერიოზული ქალიშვილია.

ვ ი ქ ტ ო რ ი. თავს იკატუნებს.

კ უ ზ მ ა. მას დიდი თვალები აქვს...

ვ ი ქ ტ ო რ ი. რა ფერისა?

კ უ ზ მ ა. არ ვიცი. ალბათ რუხი. ახლა ნაწნავები იკითხე...

ვ ი ქ ტ ო რ ი. ნადია ჰქვია?

კ უ ზ მ ა. შენ საიდან იცი?

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე მას ადრევე ვიცნობდი. გუშინ კი შენთან ვნახე.

კ უ ზ მ ა. ხომ შესანიშნავი გოგონაა?

ვ ი ქ ტ ო რ ი. არა უშავს... ლოგარითმულ სახაზავსა ჰგავს.

კ უ ზ მ ა. შენი ხუმრობა არ მომწონს!

ვ ი ქ ტ ო რ ი. მაპატიე. ვგონებ მართლა კარგი გოგონაა, შენ მას საგანგებოდ გამოწყობილი უნდა შეხვდე. სად არის შენი ჰალსტუხი?

Scanned with CamScanner

კუზმა. ისე არ შეიძლება თუ?

ვიქტორი. რა გულუბრყვილო ხარ! რამდენი ქალიშვილის გული მოუხიბლავს ჰალსტუხს! (ამოიღებს ჰალსტუხს.) გაიკეთე! (კუზმა სარკესთან იკეთებს ჰალსტუხს). განა ასე იკეთებენ? ვინ იკეთებს ამხელა ნასკვს, მოიტა მე გაგინასკვავ (მუხლით კუზმას მუცელს, ებჯინება, ჰალსტუხს მოუჭერს.)

კუზმა (ჩახლეჩილი ხმით). მახრჩობს...

ვიქტორი. არა უშავს, შეეჩვევი! (განზე დგება, კუზმას თავიდან ფეხებამდე ახედავს.) თმა დაივარცხნე!

კუზმა (ივარცხნის). სერიოზულად გეკითხები — შეიძლება მოვეწონო?

ვიქტორი. მოიცა. საჭიროა პიჯაკი. ახლავე მოგცემ ჩემსას (იღებს კარადიდან თავის ახალ პიჯაკს). აბა, გასინჯე...

(კუზმა მორჩილად იცვამს.)

ჰმ... საერთოდ, რა თქმა უნდა, არც თუ ისე მოსაწონი ხარ. რატომ ხარ ასეთი მსუქანი? სიყვარულიც რომ არ მოქმედებს შენზე!..

(კუზმას პიჯაკის გახდა უნდა)

ვიქტორი. მოიცა, რას სჩადიხარ!

კუზმა. პიჯაკი ჩემთვის პატარაა. პირდაპირ, სუნთქვა შეუძლებელია.

ვიქტორი. არა უშავს, სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს. უკეთესია ის მითხრა, რით გაუმასპინძლდები ქალიშვილს.

კუზმა. რით გავუმასპინძლდები?

ვიქტორი. მამ რა გგონია, იქნებ შენ ფიქრობ, ქალიშვილები კვირტების სურნელებით იკვებებიან? რატომ ვერ ვხედავ გაშლილ სუფრას? შენ ჩვენს ინსტიტუტს შეარცხვენ. ფული გაქვს?

კუზმა (ჯიბეებში იქექება შეშინებული). ხუთი მანეთი მაქვს.

ვიქტორი. ჰმ. მე —ოცი. მაგრამ რა აზრი აქვს? მაღაზიები უკვე დაკეტილია, დღეს ხომ კვირაა...

კუზმა. მოიცა... იქნებ სხვა დროს შევხვდე იმ გოგონას?

ვიქტორი. გეშინია? გარბიხარ?

კუზმა. დამანებე თავი! გესმის, დამანებე-მეთქი! რას გადმეკიდე?!

ვიქტორი. ს-სს...

კუზმა (ჩურჩულით). რა იყო.

ვიქტორი. გესმის? მოდის!

კუზმა (ახველებს). მოდის? მერე...

ვიქტორი. გააღე კარი.

(ისმის კაკუნი. კუზმა აღებს კარს. შემოდის მომღიმარი სახით საერთო საცხოვრებლის კომენდატი.)

კომენდატი. გუტენ აბენდ!

ვიქტორი. ეეეჰ! გუტ ნაიდ!

კომენდატი. (გაბრწყინებული). თაყვანს ვცემ კულტურულ ადამიანებს, წერილია...

ვიქტორი. ვისი?

კომენდანტი. მასლოვისა.

ვიქტორი. გადავცემთ. (კუზმას). ხედავ, რა დამღუპველია სიყვარული! მეთხუთმეტე წერილია ამ კვირაში! (იღებს წერილს და მაგიდაზე სდებს.)

კომენდატი (გრძნობამორეული.) თაყვანს ვცემ სტუდენტებს!

ვიქტორი. სტუდენტი!—ეს კულტურის კვინტესენციაა, სტუდენტს თაყვანი უნდა სჯე, ვინაიდან უსიყვარულოდ იგი დაჭკნება, ვით ყვავილი ანტარკტიდაში, მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ.

კომენდანტი. ხა-ხა! კონგენიალურია! ჭერიფან ხომ არ ჟონავს!

ვიქტორი. ჭერი საერთოდ, ბუნების გამოცანაა და საგანგებოდ იმისათვის არის შექმნილი, რომ ჟონავდეს. მაგრამ ჩვენი კომენდანტის ადმინისტრაციული ნიჭის წყალობით ჩვენი თავის სიმაღლეზეა.

კომენდანტი. ხა-ხა! (კუზმას ჩუმათ) ძმრის ესენცია ვიცი, ხოლო ეს კვინტენსენცია რაღაა?

კუზმა რა? ა.ა.. ლათინური სიტყვაა. შენადედს ნიშნავს.

კომენოანტი. ლათინური? რას ბრძანებთ... არა, რა შუაშია შენადედი? შენადედი სისულელეა.

ვიქტორი. სწორია. (კუზმას) კუზმა, გამხნევდი, მე ერთი კარგი აზრი მომივიდა, (კომენდანტს) ჩქარა: ვარდისფერი მუსკატის ღვინო გაქვთ?

კომენდანტი. რას ინებებთ? მუსკატის ღვინოს? არს გვაქვს. არაყი კი გვაქვს, კონსერვიც, ძეხვიც.

ვიქტორი. გასაგებია. არაყი არ გვინდა.

კუზმა (ჯამოცოცხლებული). მითხარით, გაქვთ რაიმე.., ქალიშვილისათვის? ნამცხვარი ხომ არა გაქვთ?

Scanned with CamScanner

 კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ნამცხვარი? აბა საიდან, მე ხომ რესტ-
რანი არა მაქვს! არის თეთრი პური: სამი მანეთ და 40 კაპიკი.
დაგითმობთ ოთხად. ისიც სტუდენტებისადმი განსაკუთრებული
სიყვარულის გამო, თვითონ მშირდება.

ვ ი ქ ტ ო რ ი. თქვენ მომხიბლავი ხართ! მაგრამ თეთრი პუ-
რის საკითხი არ არის ინდიფერენტული. (დაფიქრდება) ყვავილები
შეგიძლიათ გვიშოვოთ?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ყვავილები? ასე ვთქვათ, ცხოვრების პო-
ზია? ეს შეიძლება.

ვ ი ქ ტ ო რ ი. დიახ დიახ!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ვარდები. მიმოზები და სხვა ამკვარი. ეს
შეიძლება. რამდენი?

კ უ ზ მ ა. თაიგული.

ვ ი ქ ტ ო რ ი. დიდი თაიგული.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. კილოგრამი საკმარისი იქნება?

ვ ი ქ ტ ო რ ი. თქვენ... გეტყობათ, ტრანსცენდენტალური
ხართ!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. როგორ? ჰოო!.. ხა-ხა! როდისთვის გნე-
ბავთ ყვავილები?

კ უ ზ მ ა. რაც შეიძლება ჩქარა.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ყვავილნარში ისეთი ყვავილები მაქვს, რომ...
ალა ბულიე! (მიდის).

ვ ი ქ ტ ო რ ი. რას იტყვი! აფასებ ჩემს მეგობრობას?

კ უ ზ მ ა. რათ გინდოდა კომენდანტის ჩარევა.

ვ ი ქ ტ ო რ ი. ოჰო! სიხარულის ცრემლების მაგივრად, ასეთი
უმადურობა. მღუპავს მე ჩემი კეთილი გული. (ცოტა ხნის სიჩუმის
შემდეგ) გინდა მე ავუხსნი იმ გოგოს შენს მაგივრად სიყვარულს!

კ უ ზ მ ა. მოვიხსნი იმ ჰალსტუხს, ჯანდაბას მისი თავი! მახრ-
ჩობს. და მერე კიდევ, ვგონებ, აღარც მოვა ის გოგო.

ვ ი ქ ტ ო რ ი. როდისთვის შეგპირდა?

კ უ ზ მ ა. შვიდისთვის.

ვ ი ქ ტ ო რ ი (იყურება საათზე). ჰოო... მოვუცადოთ კიდევ ათი
წუთი, მერე მოიხსენი. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) რას განიცდის
ეს ხალხი ასე საშინლად? ათასნაირ სიტყვებს იგონებენ. რისთვის?
სიყვარული ანაქრონიზმია. მე შენს ადგილას გაეჩუმდებოდი. ის:
„გამაოგნებ“!, შენ კი.. (თავს იქნევს.) ის: „როგორ ბრძანდებით?“

შენ კი (უჩვენებს მოღუშულ სახეს) აი ეს იქნებოდა ორიგინალური!
(კაკუნი კარზე. კუზმა და ვიქტორი შეშინებულნი წამოდგებიან. ვიქტორი
ფეხის წვერებზე, ხელების ქნევით ციდის კართან, ყურს მიუგდებს, შემდეგ ბრუნ-
დება)

ვ ი ქ ტ ო რ ი (ჩურჩულით). ის არის. სუნთქავს... ხმამაღლა
სუნთქავს.. გესმის?

კ უ ზ მ ა (ჩურჩულით). რა იყო?

(კაკუნი კარზე)

ვ ი ქ ტ ო რ ი. გესმის თუ არა!

(კუზმა ჩაახველებს. კარი ნელა იღება, შემოდიან ნადია და ვერა. ჩერდე-
ბიან. პაუზა.)

ნ ა დ ი ა (აკანკალებული ხმით). გამარჯობათ..

(კუზმა ჩაახველებს და თავს დაუქნევს. ვიქტორი სიცილს ვერ იკავებს და
თავს ბალიშში ჩარგავს.)

ვ ე რ ა. რა მოგვივიდათ? ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

კ უ ზ მ ა (ძალდატანებით). გამარჯობათ. ვიქტორ, იცნობდე.

ვ ი ქ ტ ო რ ი. მოხარული ვარ. დაბრძანდით! კუზმა, აალაგე
წიგნები. (კუზმა სკამებიდ ნ აალაგებს წიგნებს. ქალიშვილები დასხდებიან

იცით, ჩვენ ცოტა შევშინდით. ერთს ველოდით, ორნი მოხ-
ვედით.

ვ ე რ ა. მერედა არ გიხარიათ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. პირადად მე მიხარია, როგორც ჩრდილოეთ
პოლუსზე მყოფს მზის დანახვა.

ვ ე რ ა. რა უცნაურად ლაპარაკობთ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე კი არა, სითბოს მონატრებული ჩემი გული
ლაპარაკობს. მე პოეტი ვარ, ხოლო ყველა პოეტს ერთი უბედუ-
რება სჭირს,—ისინი არ უყვართ ქალებს.

ვ ე რ ა. აა, ეს თქვენი ლექსები ყოფილა, ჩვენ რომ თქვენს
ქედლის გაზეთში ვნახეთ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. დიახ, ჩემი. (კუზმა ჩაახველებს) მე დიდი ხანია
აწერ ლექსებს.

ვ ე რ ა. ჰო? ძალიან სუსტი ლექსებია. შეიძლება ითქვას,
ცუდიც.

ვ ი ქ ტ ო რ ი. როგორ? ჰმ..

კ უ ზ მ ა. ის ლექსები ამისი არ არის და საერთოდ ეს არც
არის პოეტი.

Scanned with CamScanner

ვ ე რ ა. მაშ ასე? მაშ ვინ არის ის?

ვ ი ქ ტ ო რ ი. თქვენ კითხულობთ ჩემზე მესამე პირში, თითქოს მიცვალებული ვიყო, მაგრამ მე მაინც გიპასუხებთ: ის არის ადამიანი, რომელსაც ცხოვრება მოსძულებია.

ვ ე რ ა (შეათვალიერებს ოთახს) სიცოცხლესთან ერთად, გეტყობათ, თქვენ სისუფთავეც მოგძულებიათ.

ნ ა დ ი ა ((ჩუმათ). ვერა! განა ასე შეიძლება?

ვ ი ქ ტ ო რ ი. ისე კი, იცით რა გითხრათ? მე სასტიკად ნაწყენი ვარ.

ვ ე რ ა. ვინ არის თქვენი მამასახლისი?

ვ ი ქ ტ ო რ ი. კუზმა, ვინ არის ჩვენი მამასახლისი?

კ უ ზ მ ა. როგორ თუ ვინ არის? შენა ხარ!

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე? ჰო, მართლა... მაპატიეთ, მე ფიქრებში გავერთე.

ვ ე რ ა (გადაუსვამს ხელს კარადას). ეს რა არის?

ვ ი ქ ტ ო რ ი. ეს? გეოლოგიური დაშრევებაა. თუმცა რა საჭიროა გამოვეკიდოთ წვრილმანებს? სამყარო ფართოა, გავიდეთ ამ ვიწრო ოთახიდან!

ნ ა დ ი ა (კუზმას). რა მოგვიდათ? ავად ხომ არა ხართ?

კ უ ზ მ ა. არა. რა იყო?

ნ ა დ ი ა. აწითლებული ხართ.

კ უ ზ მ ა. მე? (ხელს ჰკიდებს ჰალსტუხს).

ვ ი ქ ტ ო რ ი. ეს ისე... ეს სისხლის მიმოქცევის ბრალია. ახლავე გაივლის. (ვერას) თქვენ გინახავთ ჩვენი ბაღი?

ვ ე რ ა. თქვენ გსურთ მე ვრცელ სამყაროში გამიყვანოთ. რა გაეწყობა, გამიყვანეთ! მაგრამ თუ თქვენი ბაღი ისევე ცუდია, როგორც ერთ-ერთი მისი პატრონთაგანი...

ვ ი ქ ტ ო რ ი. ასე ძალიან არ მოგწონვართ?

ვ ე რ ა. წავიდეთ!

ნ ა დ ი ა. მხოლოდ ცოტა ხნით! კარგი?

ვ ი ქ ტ ო რ ი. ჩვენ მალე დავბრუნდებით.

(გადიან. პაუზა.)

ნ ა დ ი ა. რატომ ხართ გაჩუმებული? ხელი შეგიშალეთ? ჰოო?

კ უ ზ მ ა. არა, არა!

ნ ა დ ი ა. მაშინ ვილაპარაკოთ.

კ უ ზ მ ა. შეიძლება ჰალსტუხი მოვიხსნა? მაღრჩობს.

ნ ა დ ი ა. რასაკვირველია. რატომ მოიჭირეთ ასე?

კ უ ზ მ ა (იხსნის ჰალსტუხს). უუფ... იცით, მე სულ სხვანაირი წარმომედგინეთ, თქვენ კი სულ სხვა აღმოჩნდით. ჩვენთან ერთ კასრში ისეთი წყალია, დილით ვერცხლისფერია, თითქოს მარმაში გადაჰკვრიაო, შუადღისას კი შავია, ხოლო თუ ზევიდან ჩახედავ, თითქოს არაფერი არ არის, ისეა, როგორც ჰაერი.

(შემოდის კომენდანტი.)

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ა-ა... (ყვავილებს ზურგს უკან მალავს) გუტენ მორგენ, მომაჯადოებელო უცნობო! ნება მომეცით...

ნ ა დ ი ა. გამარჯობათ.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი (კუზმას). თქვენი თხოვნა, პატივცემულო, შევასრულე. ინებეთ! (აძლევს ყვავილებს).

კ უ ზ მ ა. გმადლობთ (ნადიას) ეს თქვენ ინებეთ.

ნ ა დ ი ა. გმადლობთ. რა მშვენიერი თაიგულია!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ეს კი, კეთილშობილი სითხე, რომელიც ძლიერ ვიშოვნე. (ოფიციანტის მოკნინღობით ამოიღებს ჯიბიდან ბოთლს, შეათამაშებს ხელში და დგამს მაგიდაზე.) ლიმონათი! (ნადიას) თქვენმა მეგობრებმა სპეციალურად თქვენთვის შემიკვეთეს, მე კი სტუდენტებისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ.

ნ ა დ ი ა. არ მესმის... მე ხომ არ მითხოვია...

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ღვთაებრივი სასმელია! კვინტენსენცია! ოცდახუთი პროცენტი შაქარი და წმინდა ვაკინი. ჩაის არ მიირთმევთ?

ნ ა დ ი ა. გმადლობთ, ნუ სწუხდებით...

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. რატომ? ჩვენთან ეს დიდი რამე არ არის. მე ხომ ვიცი რა არის სიყვარული! რესტორანში...

კ უ ზ მ ა (სასოწარკვეთით). ამხანაგო კომენდანტო!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ვდუმვარ! (ნადიას) მაშ არ გნებავთ ჩაი? ტყუილად არ მიირთმევთ. ჩაი—წმინდა სასმელია ჩვენი, როგორც თქვა დიდმა ჰამლეტმა.

ნ ა დ ი ა. ჰამლეტი? თქვენ გინახავთ „ჰამლეტი“?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. როგორ თუ არ მინახავს! მინახავს; ხოლო თუ ექსპროპრიირულად ვილაპარაკებთ, ის სადაური ჰამლეტია, ნამდვილი ჰამლეტები ასეთები არ არიან.

ნ ა დ ი ა. მაშ როგორები არიან?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. როგორებიც არიან ცნობილია, აი, ჩვენი ივან ფილიპიჩი ავიღოთ! აი ის ჰამლეტია! არც ერთ კლიენტს არ შეეძლო ხელიდან დაძრომოდა. ის, საძაგელი, თითქოს უნდოდა

Scanned with CamScanner

ერთი ბოთლი ლუდის შეკვეთა, ენა კი თავისთავად ამბობდა: „კო-
ნიაკი“. ივან ფილიპიჩს პატრიარქის გამოხედვა ჰქონდა! არ ვტყუი!
ვითომ ჰამლეტი რაღაა! ჩემი აზრით, ტყუილად ადიდებენ მას ასე.
(ნადია იღიმება.) მე თქვენი სიცილი, ქალბატონო, თქვენს პატივის-
ცემას მინერგავს! (კუზმას გვერდზე გაიხმობს). 18 მანეთი!

კ უ ზ მ ა (შეშინებული). რაო?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ყვავილებისა და ლიმონათის ღირებულება
18 მანეთი.

კ უ ზ მ ა. აი ხუთი. დანარჩენი შემდეგ...

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ე-ე... არ გამოვა! ფული მაგიდაზე, თორემ
კალკულაციას გამოვიყენებ, ე. ი. ყველაფერს უკან წავიღებ.

კ უ ზ მ ა (ჩუმათ). დავიღუპე! დავიღუპე!

(ფანჯრიდან ისმის ვერას და ვიქტორის ხმები და სიცილი. შემდეგ ფან-
ჯარაში გამოჩნდება ვიქტორის თავი. მას ვერ ხედავენ. რაღაცის თქმა ენდა,
მაგრამ ყურს მოჰკრავს თუ რაზეა ლაპარაკი, გაკრება.)

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. მაშ როგორღა?

კ უ ზ მ ა (კომენდანტს, ჩუმათ). არ შეგიძლიათ შემდეგ შემოია-
როთ? ხომ შეგიძლიათ?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ახალგაზრდები ქალების თანდასწრებით
ყოველთვის უფრო ხელგაშლილნი არიან.

კ უ ზ მ ა. კარგი! მე ეხლავე...

ნ ა დ ი ა (კუზმას, ჩუმათ). მე მაქვს ფული, აი.

(კუზმა უარყოფის ნიშნად თავს აკნეკს. შემოდის ვიქტორი.)

ვ ი ქ ტ ო რ ი. ამხანაგო კომენდანტო! თქვენ აქ ხართ და
არაფერი იცით?

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. რა იყო?

ვ ი ქ ტ ო ო ი. ბედისწერა! თქვენი აქციები ეცემა, ამხანაგო
კომენდანტო! მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გეძებენ.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. რა?.. ვინ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. კორნეი პაკლოვიჩი.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ხამნეო ნაწილის გამგე?

ვ ი ქ ტ ო რ ი. მას თან ორი მილიციელი ახლავს და ერთიც—
სამრჭალაქო პირი.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ოჰ... მაგრამ რატომ შეწუხებულან?

ვ ი ქ ტ ო რ ი. ამხანაგო კომენდანტო, სადაროის თქვენი მიხვედ-
რილობა!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. აჰა... ე. ი. ის... ასე. ამხანაგებო, მე ყო-
ველთვის მიყვარდა სტუდენტები.

ვ ი ქ ტ ო რ ი. რა თქმა უნდა!

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. შეიძლება ითქვას, მთელ ჩემ სიცოცხლეში.

ვ ი ქ ტ ო რ ი. გასაგებია.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი (კუზმას). ასე რომ, თუ რამე... მე არაფერი.
გასაგებია?

ვ ი ქ ტ ო რ ი. რასაკვირველია, თქვენი სინდისი ჩვილი ბავშ-
ვის სინდისივით წმინდაა.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. გმადლობთ, გმადლობთ, ამხანაგებო... მე
ხომ სტუდენტებს ყოველთვის, ასე ვთქვათ... ბაღლინჯოები ხომ
არ გაწუხებთ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. ნაწილი ემიგრირებულია. დანარჩენნი თქვენი
პატივისცემით გაწყდნენ.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. რას ლაპარაკობთ? მაშ... (იშმუშნება.) მე, რა?
წავიდე?

ვ ი ქ ტ ო რ ი (ამოოხვრით). სხვა რა გზა გაქვთ. გელოდებიან.

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ულრმეს ბოდიშს ვიხდით. გმადლობთ თანა-
გრძნობისათვის. (გადის).

კ უ ზ მ ა. განგებ გააკეთე?

ვ ი ქ ტ ო რ ი. რასაკვირველია. მეც წავალ (გადის).

ნ ა დ ი ა. რა უსიამოვნო კომენდანტი გყავთ.

კ უ ზ მ ა. დიახ! (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ლიმონათი ხომ არ
გინდათ?

ნ ა დ ი ა. არა, გმადლობთ. გახსოვთ, თქვენ მე სტენდალს
შემპირდით...

კ უ ზ მ ა. მაპატიეთ, ის ერომა ჩვენმა ამხანაგმა წაიღო, სანა-
პიროზე კითხულობს. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) მე კი ჯერ კიდევ
ზამთარში ვნახეთ თქვენ სანაპიროზე. და მას შემდეგ...

ნ ა დ ი ა. რა მას შემდეგ?

კ უ ზ მ ა. თვალყურს გადევნებთ.

ნ ა დ ი ა. რატომ?

კ უ ზ მ ა. არ ვიცი, რატომღაც ყოველთვის მინდოდა თქვენი
ნახვა. მახსოვს, ერთხელ ფეხდაფეხ მოგყვებოდით, ყინავდა და ის-
იყო თოვლიც წამოვიდა, მე ახალი ფეხსაცმელი მეცვა, თოვლი ჩემს
ფეხქვეშ საშინლად კრაჭუნებდა, იფიქრებდი, ერთ კილომეტრზე
ისმისო. გამვლელები ცოტა იყვნენ. ფარნები ენთო, მოვდიოდი და

Scanned with CamScanner

მეშინოდა, ვაი თუ მოიხედოს-მეთქი! ხანდახან კი თქვენს სადარ-
გაზო შესასვლელთან ვმორიგეობდი, ვიცდიდი როდის გამოხვიდო-
დით, ვიმალებოდი...

ნ ა დ ი ა. კი მაგრამ რატომ არ გამიცანით?

კ უ ზ მ ა. მეშინოდა. მე ისე ოცნებაში გაგიცანით.

ნ ა დ ი ა. მართლა?

კ უ ზ მ ა. აი, ვზივარ ახლა თქვენთან, გელაპარაკებით, თვა-
ლებში გიყურებთ და მიკვირს ჩემი თავისა. თითქოს სიზმარში
ვარ, ღმერთმანი! გახსოვთ, ზამთარში რომ ხშირად გირეკავდნენ
და ხმას კი არ იღებდნენ?

ნ ა დ ი ა. ეს თქვენ იყავით?

კ უ ზ მ ა. მე ვიყავი. მე თქვენი ხმის გაგონება მინდოდა.
თქვენ იტყოდით: „გისმენთ!".—მე კი ყურმილს ჩქარა ჩამოვდებდი.
აი ხედავთ... თქვენ კი ალბათ ფიქრადაც არ მოგდიოდათ ჩემი
არსებობა.

ნ ა დ ი ა. პირიქით.

კ უ ზ მ ა. როგორ?

ნ ა დ ი ა. თქვენ საერთოდ მთელი ჩვენი ჯგუფი გიცნობთ.
შეამჩნიეს, რომ თქვენ დამდევდით. მეცადინეობა რომ მთავრდე-
ბოდა, თქვენ ვინმე დაგინახავდათ ქუჩაში, მორბოდნენ ჩემთან, მე-
უბნებოდნენ „დგას".

კ უ ზ მ ა. დალახვროს ეშმაკმა! რა უხერხული მდგომარეობაა!
თუმცა სულერთია. მაინც მოხარული ვარ. გათავდა! მე დღეს ისე
გელოდით თქვენ, ისე ვღელავდი... ვიტკამ სულ დამაბნია. ახლა
კი... იცით რა?

ნ ა დ ი ა. არ არის საჭირო, კუზმა, არ არის საჭირო! თქვენ
საღამოობით ხართ ხოლმე სანაპიროზე?

კ უ ზ მ ა. სანაპიროზე? ჰოო... არა, ჩვენ ბევრს ვმეცადინეობთ,
და მერე მარტო ყოფნა მოსაწყენია.

ნ ა დ ი ა. მე კი მიყვარს მდინარე, მიყვარს ნავით სეირნობა.

კ უ ზ მ ა. საით?

ნ ა დ ი ა. საითაც იქნება სულ წინ, წინ... შევცურავ საგუბარ-
ში და ვუყურებ, როგორ ირეკლება წყალში ვარსკვლავები. წყალში
რატომღაც ყველაზე დიდი ცისფერი ვარსკვლავები ირეკლება,
ხოლო როცა გაჩირაღდნებული გემი გაივლის, ყველა ვარსკვლავი
ირევა. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) გარდა ამისა მე ძალიან მიყვარს
მოგზაურობა. ვერ წარმომიდგენია, როგორ იცხოვრებთ თქვენ სულ

ერთ ადგილზე. ბურძგლიანო მეტყველ! არა მგონია, თქვენ ასეთი
იყოთ.

კ უ ზ მ ა. არა, არა! რატომ გგონიათ? მეტყველები სულაც არ
ცხოვრობენ ერთ ადგილას! ხომ იცით, როგორი ტყეები გვაქვს?
თითო სატყეო, რომელიმე სახელმწიფოს უდრის, მაგალითად, ბელ-
გიას! არ გჯერათ? მამასთან ერთად რომ გავემგზავრებოდი ხოლმე
შინ თვეობით არ ვბრუნდებოდით. ჩვენთან მდინარეები ისეთი
როდია, როგორც აქ: წყალი ღრმაა, კიბორჩხალები დახტიან ჩქე-
რებზე... დილაობით ყველაფერი გადათეთრებულია, ნისლია. კარ-
გია! ახლა წეროები იკითხე...

ნ ა დ ი ა. მართლა! ვიცი, ეს ვიცი. შარშან შემოდგომაზე
ჩრდილოეთ ციმბირში ვიყავი გეოლოგიურ პარტიასთან ერთად.
იცით, რა ძნელი იყო? კოღოები, დაბურული ტყეები... ისე გაწამ-
დები—თავს ვეღარ ასწევ! დღისით მზეზე იწვები, ღამით კი კარავს
რთვილი ფარავს. საშინელებაა! ბევრს გაუტყდა მაშინ გული. მე კი
რატონღაც შემიყვარდა ეს ყველაფერი. დროთა განმავლობაში სიძ-
ნელეები რატომღაც გავიწყდება, სილამაზე კი გახსოვს.

კ უ ზ მ ა. იცით რა? ეს ხომ ჩემი აზრებია! საკვირველია!

ნ ა დ ი ა (მიდის ფანჯარასთან). კუზმა!

კ უ ზ მ ა. რა იყო?

ნ ა დ ი ა. არაფერი... მე თქვენი სახელი მომწონს. შეხედეთ,
რა საღამოა!

კ უ ზ მ ა (მივა მასთან). მოდი, წავიდეთ, ნავით გავისეირნოთ
ა! თქვენ, ვერა, ვიტკა და მე... ვიტკა გიტარას წამოიღებს. წა-
ვიდეთ?

ნ ა დ ი ა. მე სახლში წავალ.

კ უ ზ მ ა. სახლში?

ნ ა დ ი ა. გაიგეთ... მე მარტო უნდა დავრჩე! ნუ გაჯავრდე-
ბით, კარგი?

კ უ ზ მ ა. ნავით როდის გავისეირნოთ? თქვენ ხომ გინდოდათ?..

ნ ა დ ი ა. ნავით? რომელი საათია?

კ უ ზ მ ა (დახედავს საათს). რვა.

ნ ა დ ი ა. 9-ზე მოდით ნავსადგურში, გინდათ? ახლა კი მე
მაინც წავალ. სად არის ვერა?

კ უ ზ მ ა. ისინი ალბათ ბაღში სხედან.

ნ ა დ ი ა. თქვენ მართლა კარგი ბაღი გაქვთ?

კ უ ზ მ ა. ბაღიო?.. რაღაც ერთი გოჯაა. ეს ვიტკა ტრაბა-
ხობს—ბაღი გვაქვსო.

Scanned with CamScanner

ნ ა დ ი ა. მაშ, მე წავედი... (იღებს ყვავილების თაიგულს) რა საიამოვნო სუნი აქვს? მხოლოდ თქვენ იგი კომენდანტს დაუბრუნეთ. მე არ მინდა.

კ უ ზ მ ა. არა, აიღეთ!

ნ ა დ ი ა. სისულელეა! თქვენ არა გაქვთ ამის ფული. დაუბრუნეთ უკან.

კ უ ზ მ ა. არაფრის გულისათვის! ფული მაქვს და, საერთოდ, მეწყინება.

ნ ა დ ი ა. მაშ კარგი. გმადლობთ! მე ლარინაკში ჩავდგამ და...

კ უ ზ მ ა. რა?

ნ ა დ ი ა. არაფერი.

კ უ ზ მ ა. ჰმ... დალიეთ ლიმონათი, რატომ არ სვამთ?

ნ ა დ ი ა. არ მინდა. (მიდის კარისაკენ) კუზმა! თქვენ... (აღებს კარს და ლაპარაკობს რაღაცას ჩქარა და გაუგებრად).

კ უ ზ მ ა. რა? რა?

(ნადია სიცილით გადის კუზმა გაჰყვება მას დერეფანში. შემდეგ ბრუნდება.)

კ უ ზ მ ა. რა მითხრა ნეტავ? რა მითხრა! რაღაც მნიშვნელოვანი. (მიდის ფანჯარასთან, იყურება, შემდეგ ჯდება მაგიდასთან.) წავიდნენ... ეკითხავ, დღესვე, აუცილებლად! (შემოდის ვიქტორი. უსიტყვოდ მიდის საწოლთან და წვება.) ვიტია, შენ წამოხვალ მდინარეზე? გავისეირნოთ ნავით!

ვ ი ქ ტ ო რ ი (მოდუშული.) წამოვალ.

კ უ ზ მ ა. რა სულელი ხარ, ვიტკა, შენ ცხოვრებისა არაფერი გესმის.

ვ ი ქ ტ ო რ ი. მ-მ-მ...

კ უ ზ მ ა. რა დაგემართა?

ვ ი ქ ტ ო რ ი. კუზმა! დავიღუპე! რა გოგოა!

კ უ ზ მ ა. ვერა? ჰო? ის მგონი ნამდვილად კარგია.

ვ ი ქ ტ ო რ ი (წამოხტება). მგონი! ხეპრეა!.. ის გასაგიჟებელია! შენ წარმოგიდგენია, მე პირის გაღება ვერ მოვახერხე! მე ვერ მოვახერხე! იცინი, საძაგელო?

კ უ ზ მ ა. არა, რას ამბობ!

ვ ი ქ ტ ო რ ი. კუზმა, შენ ღამე გძინავს?

კ უ ზ მ ა. მძინავს, ხანდახან...

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე კი არ დავიძინებ. დამცინეთ, ალქაჯებო! ეს რა არის, ლიმონათია?

კ უ ზ მ ა. ლიმონათია.

ვ ი ქ ტ ო რ ი. იმ იხტიოზავრის? ის საძაგელი ნეანდერტალელის სადღეგრძელო დავლიოთ!

კ უ ზ მ ა. დავლიოთ! იმან მე თავი მომჭრა... როგორ შეშარცხვინა! კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, ნამდვილს გეუბნები!

ვ ი ქ ტ ო რ ი. წარმომიდგენია. მაგრამ ჩვენ გადავუხდით სამაგიეროს. (ხსნის ბოთლს, ავსებს ჭიქებს).

კ უ ზ მ ა. გაუმარჯოს სიყვარულს!

ვ ი ქ ტ ო რ ი. რაო? ასეთი უვარგისი ლიმონათით იმ მშვენიერი ქალიშვილების სადღეგრძელო დავლიოთ? არასოდეს! ამას ჩვენ ისე დავლევთ... კომენდანტის სადღეგრძელოა!

კ უ ზ მ ა. მთელი სიცოცხლე მას ლიმონათი ესვას!

ვ ი ქ ტ ო რ ი. ოჰ, კუზმა! მე შენ ისე ნაზად მიყვარხარ! მითხარი, ჩემო მეგობარო... თუმც, ვგონებ, მე კი ესულელდები, წენი არ იყოს. მითხარი, შეიძლება ჩემი შეყვარება? აქამდე მე საერთოდ არ მქონდა წარმოდგენა ასეთ საკითხებზე. შეიძლება ჩემი შეყვარება? მიპასუხე!

კ უ ზ მ ა. არ ვიცი.

ვ ი ქ ტ ო რ ი (მოეხვევა კუზმას). კუზმა! ჩემი ცხოვრების საუკეთესო მეგობარო, შენ გაქვს თვისება, რომელიც ჩემთვის მიუწვდომელია: პატიოსნება! სწორედ ამიტომ მიყვარხარ! დავლიოთ ეს ლიმონათი და გავიდეთ ვრცელ სამყაროში. მე სულს მიხუთავს ეს კედლები. (შეათვალიერებს ოთახს) ქალიშვილების წემდეგი მოსელისათვის ეს აგარაკი სარკესავით უნდა ბრწყინავდეს. გესმის! თორემ მე შემიძლია რაიმე დანაშაული ჩავიდინო. (ჩამოიღებს კედლიდან გიტარას, აამღერებს). როგორ ვიმღერებ მე დღეს! შალიაპინივით ვიმღერებ!

კ უ ზ მ ა. სტყუიხარ!

ვ ი ქ ტ ო რ ი. საძაგელო! მე შალიაპინზე უკეთესად ვიმღერებ, ვინაიდან შალიაპინის გულში გენია ბუდობდა, ჩემსაში კი სიყვარული, სიყვარული უფრო მაღლა დგას, ვიდრე გენია! წამოდი!

(შემოდის კომენდანტი).

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. აჰა! თქვენ აქა ხართ! რა თავს იგდებთ?

ვ ი ქ ტ ო რ ი. კუზმა! მოელაპარაკე ამ კულტურტრეგერს, თორემ მეეჭვება, რომ გიტარა მთელი შემრჩეს.

კ უ ზ მ ა. მომისმინეთ...

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. როგორ? როგორ სთქვით? კულტრეგერი? თქვენ მე პასუხს გამცემთ მეურაცხყოფისათვის! (კუზმას) იყავით მოწმე! მე ვინ ვარ? მე კომენდანტი ვარ.

Scanned with CamScanner

ვ ი ქ ტ ო რ ი. მე კი თვით ბუნების მეუფე. წამო, კუზმა! (კომენდანტს) სალამი სინგაპურიდან! ალლა ბულიე! (წაიმღერებს).

გულის სატრფოს ბეჭედი
მე ზღვაში დამეკარგა...

(მიდის.)

კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი. ჰამლეტები (შეამჩნევს მაგიდაზე ბოთლს) ჰმ... (მივა, წამოიყუდებს ბოთლს და სვამს დარჩენილ წვეთებს.) ჩახეთქე ეს ყველაფერი! უცნობი ქალი... უცნობი ქალი... ვიცნობთ ჩვენ ამ უცნობ ქალებს, თუმცა... თუმცა... ჩემთვისვე იქნება ცუდი. არ გვინდა ჩხუბი. (იღებს მაგიდიდან ბოთლს) მანეთი და ერთი აბაზი ღირს... (მიდის.)

ფ ა რ დ ა

Scanned with CamScanner